საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პერიოდის სამართლებრივი გარემოს მიმოხილვა



2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პერიოდის სამართლებრივი გარემოს მიმოხილვა

თბილისი
2025

კვლევის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი: მათე ბუბაშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 4

1. „ქართული ოცნების“ პარლამენტის
   დაჩქარებული კანონშემოქმედება 5

2. ცვლილებები პარლამენტის რეგლამენტში 6

3. „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ – „ფარა“ 9

4. ცვლილებები საარჩევნო კოდექსსა და ცენტრალური
   საარჩევნო კომისიის (ცესკო) დადგენილებებში 10

5. ცვლილებები პოლიტიკური პარტიების აკრძალვის შესახებ 12

6. „ქართული ოცნების“ პარლამენტის
   საგამოძიებო კომისია და მისი საქმიანობა 13

შესავალი

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნების“ პარლამენტი პირველად 25 ნოემბერს შეიკრიბა.[1] კონსტიტუციის მიხედვით, ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა იმართება შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა, რომლის თარიღს ნიშნავს პრეზიდენტი. პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა პირველი სხდომა არ მოიწვია და საკონსტიტუციო სასამართლოს ამ არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, დემოკრატიული არჩევნების ორი პრინციპის - საყოველთაობისა და ხმის ფარულობის დარღვევის თაობაზე მიმართა. ჩატარებული არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობა იწვევს მისი შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ (ცალკეული საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების) ბათილად ცნობას.[2] შესაბამისად, ფაქტობრივად, საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებული იყო პარლამენტის ყველა წევრის არჩევის კანონიერება.[3] აქედან გამომდინარე, პარლამენტს არ შეეძლო ახალი წევრების უფლებამოსილების ცნობა.[4] ამის მიუხედავად, პარლამენტი მაინც შეიკრიბა და საკუთარი უფლებამოსილება დაამტკიცა. სწორედ ამ არგუმენტით, პარლამენტის ფუნქციონირება აღიქმება არალეგიტიმურად. ოპოზიციამ უარი თქვა საპარლამენტო მუშაობაზე და საკანონმდებლო ორგანოს ბოიკოტი გამოუცხადა. თუმცა, პარლამენტმა ამგვარ არალეგიტიმურ რეჟიმში საქმიანობა გააგრძელა და, მიმდინარე პროტესტის, აქციების ფონზე, დემონსტრანტთა ქმედებების საპასუხოდ და ავტორიტარული ტენდენციების განსამტკიცებლად, მიიღო რეპრესიული კანონმდებლობა, რომელმაც ქვეყანაში დემოკრატიული უკუსვლა გამოიწვია.

---

[1] „XI მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომა გაიხსნა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 25 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/media/news/xi-motsvevis-parlamentis-pirveli-skhdoma-gaikhsna“, განახლებულია: 10.04.2025.

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-4 პრიმა მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

[3] თუ საკონსტიტუციო სასამართლო გასაჩივრებული პრინციპების დარღვევას დაადგენდა, მაშინ ჩატარებული არჩევნები არაკონსტიტუციურად ჩაითვლებოდა, რაც მისი შედეგების გაუქმების საფუძველს შექმნიდა. შესაბამისად, ყველა ახლად არჩეული წევრი არაკანონიერად არჩეულად ჩაითვლებოდა.

[4] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების თარიღად 14 დეკემბერი დასახელდა.[5] კონსტიტუციის მიხედვით, საარჩევნო კოლეგია სულ 300 წევრისგან შედგება. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 224-მა წევრმა - „ქართული ოცნებიდან“ და 1-მა წევრმა - „საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან“.[6] პრეზიდენტის პოსტზე წარდგენილი იყო მხოლოდ ერთი კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ - მიხეილ ყაველაშვილი, რომელმაც 225-იდან 224 ხმა მოაგროვა.[7]

1. „ქართული ოცნების“ პარლამენტის დაჩქარებული კანონშემოქმედება

2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 7 მაისის ჩათვლით პარლამენტმა მიღებული კანონების 86% დაჩქარებული წესით დაამტკიცა.[8] „ქართული ოცნების“ პარლამენტმა არასრული ექვსი თვის განმავლობაში დააინიციირა და მიიღო 27 კანონის პროექტი დაჩქარებული წესით. აქედან ზოგიერთი საკანონმდებლო პაკეტის სახით იყო წარმოდგენილი, ხოლო ზოგი - ცალკეულ ცვლილებად. ამ ფორმით მიღებული აქტების უმრავლესობა მიმართულია ძირითადი უფლებების შეზღუდვისკენ. ერთ-ერთი საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ბიუროზე პირველად 2024 წლის 9 დეკემბერს გავიდა და მისი მიღება დაჩქარებული წესით იყო მოთხოვნილი, პარლამენტმა, საბოლოოდ, 13 დეკემბერს დაამტკიცა. ის ეხებოდა არაერთ შეზღუდვას, როგორებიცაა შეკრებისას სახის ნიღბით ან სხვა საშუალებით დაფარვის, ასევე, ლაზერული თუ სხვა მკვეთრი გამოსხივების მქონე ნივთების გამოყენების აკრძალვა. აგრეთვე, გაიზარდა სანქციები შეკრებებისა და მანიფესტაციების წესების დარღვევისთვის. გაიზარდა ადმინისტრაციული წესით დაკავების საფუძვლების ჩამონათვალი. ამის ფონზე, პაკეტში შემავალ კანონპროექტებზე თანდართულ განმარტებით ბარათებში არ არის დასაბუთებული დაჩქარებული წესით მათი მიღების გარდაუვალი აუცილებლობა. ამის გარდა, პარლამენტმა მი-

[5] საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების დანიშვნის შესახებ“.

[6] „ცნობა საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 14 დეკემბრის არჩევნების შედეგების შესახებ“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/archevnebi/2024, განახლებულია: 10.04.2025.

[7] იქვე.

[8] საიას Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/photo.php?fbid=1052645706907451&set=pb.100064860933385.-2207520000&type=3, განახლებულია: 22.04.25.

იღო კიდევ რამდენიმე საკანონმდებლო პაკეტი და ცალკეული კანონი, რომლებიც ზღუდავს ადამიანის უფლებებს და აუარესებს ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ მდგომარეობას.

2. ცვლილებები პარლამენტის რეგლამენტში

„ქართული ოცნების“ პარლამენტმა 13 მაისს მიიღო ცვლილებები რეგლამენტში, რომლითაც სხვადასხვა საპარლამენტო საკითხი ახლებურად მოწესრიგდა. ახალი რედაქციით ცალკეული საკითხები, როგორებიცაა თანამდებობის პირების არჩევა, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების შექმნა, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება, საქართველოს პრეზიდენტის არჩევა და თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება, აღარ ექვემდებარება საკომიტეტო განხილვას.[9] ეს საკითხები პირდაპირ პლენარულ სხდომაზე გავა. გაუგებარია კანონმდებლის მიერ ამ ფორმით საკითხთა შერჩევის კრიტერიუმები. საპარლამენტო საქმიანობის სამუშაო პროცესი სწორედ კომიტეტებში მიმდინარეობს. მაგალითად, ნდობის გამოცხადებისას შესაბამისი მინისტრობის კანდიდატები, დარგობრივი სპეციალიზაციის მიხედვით, წარდგებიან შესაბამის კომიტეტებში, სადაც სამთავრობო პროგრამის შესაბამისი მიმართულებები განიხილება.[10] ახალი რედაქციით, ეს პროცედურა ამოღებულია. შალვა პაპუაშვილის განცხადებით, მანამდე მოქმედი პროცედურა აღარ არის მიზანშეწონილი, რადგან სამთავრობო გუნდს მაინც უმრავლესობა წარადგენს, ამიტომ მას მხარს, აპრიორი, უმრავლესობა დაუჭერს, ხოლო ოპოზიცია - არა.[11] შესაბამისად, მისი აზრით, საკომიტეტო განხილვის საჭიროება აღარ არსებობს.

კომიტეტის სამუშაო ჯგუფის ორგანიზების საკითხებისა და სხდომების ოქმების პარლამენტის ვებგვერდზე განთავსების ვალდებულება ახალი პროექტით აღარ არის გათვალისწინებული. აქამდე არსებული რედაქციით, ჯგუფის უფლებამოსილების ვადას ადგენდა კომიტეტი, ხოლო მისი შექმნიდან 14 დღის განმავლობაში პარლამენტის ვებგვერდზე ქვეყნდებოდა შესაბამისი გადაწყვეტილება, რომელშიც მოცემული უნდა ყოფილიყო ინფორმაცია ჯგუფის შემადგენლობის,

[9] რეგლამენტის პროექტი, 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[10] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 160-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
[11] პარლამენტის პლენარული სხდომა - 15.04.2025, 47:00-49:40.

მიზნებისა და მუშაობის ვადების შესახებ.[12] ამასთან ერთად, ჯგუფს ჰქონდა ვალდებულება, მისი სხდომის ოქმები გამოექვეყნებინა პარლამენტის ვებგვერდზე და კომიტეტისთვის წარედგინა მისი მუშაობის შედეგი, რომელიც ასევე ქვეყნდებოდა საჯაროდ.[13] ცვლილებებით კი, ხდება მიღწეული პროგრესის უგულებელყოფა.

საკონტროლო მექანიზმებთან დაკავშირებით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გაუქმდა მინისტრის საათი და თემატური მოკვლევის ჯგუფი. განმარტებით ბარათში მინისტრის საათის ამოღების მიზეზად მითითებულია ინტერპელაციის სიხშირის ზრდა. თუმცა, ინტერპელაცია მინისტრის საათისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული მექანიზმია და მას ვერც შინაარსობრივად და ვერც პროცედურული თვალსაზრისით ვერ ჩაანაცვლებს.

თემატურ მოკვლევასთან დაკავშირებით, კანონმდებელმა მექანიზმის საერთოდ გაქრობა გადაწყვიტა იმ არგუმენტით, რომ მას დროებითი კომისია ჩაანაცვლებს. ეს, ცხადია, ვერ იქნება სათანადო დასაბუთება, რადგან დროებითი კომისია პარლამენტის მიერ იქმნება, ხოლო თემატური მოკვლევა, თავისი არსით, საკომიტეტო მექანიზმია, რომელიც დარგობრივ დონეზე შეისწავლის საკითხს, გამოკვეთს პრობლემებს და ისახავს გადაწყვეტის გზებს. გარდა ამისა, ის ამ პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის სავალდებულო ჩართულობას ითვალისწინებს. იმავდროულად, საგულისხმოა, რომ დროებითი კომისიის შექმნის კვორუმი გაიზარდა და, ნაცვლად დამსწრეთა ხმების უმრავლესობისა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მეოთხედისა, ცვლილებით, ერთი მესამედით განისაზღვრა. ანუ, თუ აქამდე ამისთვის 38 დეპუტატი იყო საკმარისი, ახლა 50 დეპუტატი დასჭირდება.

მნიშვნელოვნად შემცირდა პარლამენტის და კომიტეტის საქმიანობა სტრატეგიული, შედეგზე ორიენტირებული მიმართულებით. ისინი აღარ იქნებიან ვალდებულნი, შეიმუშაონ სამოქმედო გეგმა, ხოლო კომიტეტის წლიური ანგარიში ცალკე არ წარედგინება პარლამენტს და არ გამოქვეყნდება საჯაროდ.

პირველი მოსმენის შემდეგ ახლებურად ჩამოყალიბდა ინტერპელაციის ნორმა. ახალ რედაქციაში გარკვეული პროცედურული საკითხებია შეცვლილი. წერილობით კითხვასთან ერთად, შესაძლებელია და-

[12] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 46-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.
[13] იქვე, მე-7 და მე-8 პუნქტები.

ისვას ზეპირი კითხვაც, რაც, მომხსენებლის განმარტებით, შეიძლება იყოს ინტერპელაციის შეკითხვისგან განსხვავებული და ეხებოდეს აქტუალურ საკითხებს.[14] ამასთანავე, ახალი რეგლამენტის ავტორების მიზანი იყო, ინტერპელაცია დამსგავსებოდა სამთავრობო, ე.წ. შეკითხვის საათს. ამის არგუმენტად დასახელდა ის, რომ კონსტიტუციით მხოლოდ ინტერპელაციის მექანიზმია განსაზღვრული, ხოლო მინისტრის თუ სამთავრობო საათი - არა. ამიტომ, პაპუაშვილის განცხადებით, იმისათვის, რომ არ დაერღვიათ კონსტიტუცია და არ შემოეტანათ ისეთი მექანიზმი, რომელიც მასში არ წერია, ამიტომ ინტერპელაცია, ფაქტობრივად, დაამსგავსეს შეკითხვის საათს. ინტერპელაცია და სამთავრობო საათი არსებითად განსხვავებული მექანიზმებია. ამ უკანასკნელის დანიშნულებაა აქტუალურ საკითხებზე მინისტრის განმარტებების მოსმენა მოკლე კითხვა-პასუხის რეჟიმში. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) ამ მექანიზმის დამკვიდრებას გამუდმებით მოითხოვდა.[15]

დროებით საგამოძიებო კომისიასთან დაკავშირებით აღარ არსებობს თვეში მინიმუმ 2 სხდომის ჩატარების ვალდებულება. რეგლამენტი სრულად ამ სუბიექტს გადასცემს სხდომების გამართვის სიხშირის დისკრეციას. ამასთანავე, მისი თავმჯდომარის უფლებამოსილებები შეიძლება გაფართოვდეს ამ კომისიის დებულებით. ახალი ჩანაწერის მიხედვით, კომისიის თავმჯდომარის „სხვა უფლებამოსილებები“ განისაზღვრება რეგლამენტით და ამ კომისიის დებულებით.[16]

რეგლამენტის ახალ რედაქციაში ამოღებულია გენდერული თანასწორობის, ღია მმართველობისა და ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოები. ახალი რეგლამენტით ასევე იცვლება ბოიკოტის ფარგლები და დეპუტატებს მისი გამოცხადება არა ზოგადად, არამედ დღის წესრიგის კონკრეტულ საკითხთან მიმართებით შეეძლებათ.[17]

---

[14] მომხსენებელი შალვა პაპუაშვილი, ხელმისაწვდომია: https://streaming.parliament.ge/parl01/2025-05-13T12:57:19+04:00, განახლებულია: 13.05.2025.

[15] ალავერდაშვილი, გ., კაპანაძე, ნ., საპარლამენტო კონტროლი მეათე მოწვევის პარლამენტში: პირველი ნაწილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2023, 22-23; ვახუშტი მენაბდე და სხვები, საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, 28-31.

[16] რეგლამენტის პროექტი, მე-2 მოსმენის რედაქცია, 62-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

[17] რეგლამენტის პროექტი, 87-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

3. „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ – „ფარა“

გარდა დაჩქარებული კანონშემოქმედებისა, ჩვეულებრივი წესით მიღებული ნორმატიული აქტები მიმართული იყო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათი საქმიანობის დისკრედიტაციისკენ. ამის მაგალითია უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი, ე.წ. „ფარა“ („FARA“). კანონის თანახმად, ნებისმიერი პირი ან ორგანიზაცია, რომელსაც ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელი უცხოური სუბიექტის ინტერესების გამტარებლად მიიჩნევს, ვალდებულია, დარეგისტრირდეს, როგორც უცხოური პრინციპალის აგენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გათვალისწინებულია სანქციები, მათ შორის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ანტიკორუფციული ბიურო კანონის ძირითადი აღმასრულებელი ორგანოა. სწორედ მას ენიჭება მთავარი ფუნქცია იმ სუბიექტების იდენტიფიცირებასა და განსაზღვრაში, რომლებიც უცხოური პრინციპალის აგენტად უნდა დარეგისტრირდნენ. ბიურო იღებს რეგისტრაციის განცხადებებს, აფასებს მათ შინაარსობრივად და, საჭიროების შემთხვევაში, იღებს ზომებს – როგორც ჯარიმების დაკისრების, ისე სასამართლოსთვის მიმართვის სახით, რათა უზრუნველყოს ვალდებულებების იძულებითი შესრულება. ბიუროს ხელში თავმოყრილია მნიშვნელოვანი ბერკეტები, მათ შორის, ფინანსური დოკუმენტაციის დეტალურად გამოთხოვნისა და სამართლებრივი რეაგირების ინიციირების შესაძლებლობა.

თუ ის პირი, რომელიც ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით უცხოური გავლენის აგენტად მიიჩნევა, არ დარეგისტრირდება კანონით დადგენილი წესით, ბიურო სასამართლოსგან რეგისტრაციის იძულებით უზრუნველყოფას მოითხოვს. სასამართლო კი წყვეტს, დაეკისროს თუ არა სუბიექტს ჯარიმა რეგისტრაციის განაცხადის წარდგენისგან თავის არიდების ან არასწორი მონაცემების მიწოდების გამო. კანონის მიხედვით, სანქციის ზომად განსაზღვრულია ასევე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაციისა და დასუსტების პროცესში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უკუსვლაა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები, რომლებსაც პარლამენტმა 2025 წლის 20 თებერვალს დაუჭირა მხარი.[18] ცვლი-

[18] „პარლამენტმა „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებას მხარი დაუჭირა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 20 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/media/news/parlamentma-grantebis-shesakheb-kanonshi-tsvlilebas-mkhari-dauchira, განახლებულია: 20.05.2025.

ლებების მიხედვით, გრანტის გაცემა საჭიროებს საქართველოს მთავრობის ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს თანხმობას.[19] ამგვარი თანხმობის გარეშე გრანტის მიღება დაუშვებელია.[20] გარდა ამისა, თანხმობის გარეშე გრანტის გაცემისა და მიღების მონიტორინგზე პასუხისმგებელ ორგანოდ ანტიკორუფციული ბიურო განისაზღვრა.[21] მას ასევე ენიჭება საკითხის მოკვლევის უფლებამოსილება. ბიუროს შეუძლია, ორგანიზაციისგან გამოითხოვოს ფინანსური ანგარიში, გამოჰკითხოს შესაბამისი პირები და ა.შ. „გრანტების შესახებ“ კანონი ძალაში 2025 წლის 16 აპრილს შევიდა.

4. ცვლილებები საარჩევნო კოდექსსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) დადგენილებებში

2025 წლის იანვარში „ქართული ოცნების“ პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საარჩევნო კოდექსში. ცვლილებების მიხედვით, აგიტაციის გაწევა ან მასში მონაწილეობა ეკრძალება ასევე დამკვირვებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელ პირს ან დამკვირვებელს.[22] იმავდროულად, დამკვირვებელი, პარტიული და მედიის წარმომადგენელი ვერ იქნება პირი, რომლის წინააღმდეგაც ძალაშია შესული სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება საარჩევნო სამართალდარღვევის თაობაზე ბოლო 4 წლის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ მსგავსი შეზღუდვა აქამდე მხოლოდ საარჩევნო კომისიის წევრთან დაკავშირებით მოქმედებდა.[23]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებაა საარჩევნო კომისიის საქმიანობაში ჩარევისთვის სანქციის ოდენობის გაზრდა, რომელიც, 500-ის ნაცვლად, 2000 ლარით განისაზღვრა.[24] განმარტებითი ბარათი არ

---

[19] „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5[1] მუხლის 1-ლი პუნქტი.

[20] იქვე.

[21] იქვე, მე-6[1] მუხლის 1-ლი პუნქტი.

[22] „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 22 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/legislation/30012, განახლებულია: 10.04.2025.

[23] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

[24] „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 22 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/legislation/30012, განახლებულია: 10.04.2025.

იძლევა ინფორმაციას იმის თაობაზე, რა გახდა სანქციის გაზრდის მიზეზი, რადგან, როგორც წესი, ეს სანქცია საარჩევნო პრაქტიკაში ხშირად არ გამოყენებულა.

ცვლილება შევიდა საკრებულოს პროპორციულ არჩევნებში გაუნაწილებელი მანდატების განაწილების წესში. აქამდე მოქმედი რედაქციით, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო, პირველ ყოვლისა, მიეკუთვნებოდა იმ პარტიებს, რომლებმაც, მართალია, ხმების განაწილების წესის მიხედვით, მანდატები ვერ მოიპოვეს, თუმცა გადალახეს 4%-იანი ზღვარი. ხოლო თუ კვლავ დარჩებოდა გაუნაწილებელი მანდატები, მას თანმიმდევრობით მიიღებდნენ უკვე მანდატმიღებული და ყველაზე დიდი ნაშთის მქონე პარტიები. ამ შემთხვევაში, მეტ პარტიას ეძლეოდა შესაძლებლობა, მიეღო მანდატი საკრებულოში, რაც მაქსიმალურად ასახავდა ხალხის ნებას და პროპორციულ წარმომადგენლობას, მით უფრო, ადგილობრივი თვითმმართველობის თავისებურებების გათვალისწინებით. ახალი რედაქციით, მართალია, იგივე რჩება გაუნაწილებელი მანდატების მიკუთვნების პირველი ეტაპი, თუმცა იცვლება მეორე ეტაპი. ცვლილებების მიღების შემთხვევაში, გადაუნაწილებელ მანდატებს მიიღებენ არა ყველაზე დიდი ნაშთის მქონე პარტიები, არამედ ისინი, ვისაც ყველაზე მაღალი შედეგი ჰქონდა. შესაბამისად, ჩნდება ხმების დაკარგვის დიდი რისკი.

2025 წლის 3 აპრილს ცესკომ ცვლილებები შეიტანა თავის დადგენილებებში და განსხვავებულად მოაწესრიგა დამკვირვებლებთან დაკავშირებული რეგულაციები. დადგენილების 1-ლი მუხლის მიხედვით, 2023 წლის 6 თებერვლის №7/2023 დადგენილების მე-6 მუხლს დაემატა მე-6[1] პუნქტი, რომლითაც განისაზღვრა, რომ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ნებისმიერ პირს ეკრძალება: (ა) კენჭისყრის ოთახში ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება; (ბ) ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ჩვენების მოთხოვნა, მათ შორის, გამორთმევა; (გ) ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატზე გამოტანილი ამომრჩევლის მონაცემების, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრისა და ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენზე გაკეთებული არჩევანის ფოტო-ვიდეო გადაღება ან სხვაგვარი დამუშავება.

დადგენილებებში შეტანილი ცვლილებები სასამართლოში გაასაჩივრა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ.[25] საიამ ამ სარჩელზე სასამართლო მეგობრის მოსაზრება წარადგინა,[26] თუმცა საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა დადგენილება ძალაში დატოვეს.[27]

5. ცვლილებები პოლიტიკური პარტიების აკრძალვის შესახებ

26 მარტს „ქართული ოცნების" პარლამენტში დარეგისტრირდა და 13 მაისს მესამე მოსმენით დამტკიცდა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებებისა" და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანულ კანონებში ცვლილებების შეტანას. წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებებით, პოლიტიკური პარტიის აკრძალვის შესაძლებლობა გავრცელდება ისეთ ე.წ. „მემკვიდრე" პარტიებზე, რომლებიც არსებითად იმეორებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე აკრძალული პარტიის გაცხადებულ მიზანს ან/და საქმიანობის არსს. აღსანიშნავია, რომ პარტიის „საქმიანობის არსში" იგულისხმება ასევე პარტიის პერსონალური წარმომადგენლობაც, მათ შორის, საარჩევნო კომისიაში შეტანილი პარტიული სიის შემადგენლობა. ამასთანავე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანულ კანონში ზუსტდება სარჩელის განხილვის ვადები:

---

[25] „თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა ძალაში დატოვეს ცესკოს მიერ მიღებული დადგენილება, რომელიც არსებითად ზღუდავს არჩევნებზე დაკვირვებას", სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 9 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.isfed.ge/geo/gantskhadebebi/tbilisis-saqalaqo-da-saapelatsio-sasamartloebma-dzalashi-datovestseskos-mier-mighebuli-dadgenileba-romelits-arsebitad-zghudavs-archevnebze-dakvirvebas, განახლებულია: 19.05.2025.

[26] „საიამ სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა საარჩევნო კომისიის უკანონო დადგენილების შესახებ", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 8 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/saias-sasamrtlo-megbris-mosazreba, განახლებულია: 19.05.2025.

[27] „თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა ძალაში დატოვეს ცესკოს მიერ მიღებული დადგენილება, რომელიც არსებითად ზღუდავს არჩევნებზე დაკვირვებას", სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 9 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.isfed.ge/geo/gantskhadebebi/tbilisis-saqalaqo-da-saapelatsio-sasamartloebma-dzalashi-datovestseskos-mier-mighebuli-dadgenileba-romelits-arsebitad-zghudavs-archevnebze-dakvirvebas, განახლებულია: 19.05.2025.

სასამართლოს ორდინალურ პირობებში ექნება 9-თვიანი, ხოლო საარჩევნო პერიოდში - 14-დღიანი განხილვის ვადა.

აქამდე არსებული რედაქციით, პარტიის აკრძალვა საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლო იმ შემთხვევაში, თუ პარტიის მიზანი იყო საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება.[28] კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა სტანდარტულად 9 თვეს შეადგენდა.[29]

6. „ქართული ოცნების“ პარლამენტის საგამოძიებო კომისია და მისი საქმიანობა

2025 წლის 29 იანვარს ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ წარადგინა ინიციატივა „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის“ შექმნის შესახებ.[30] პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველია ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, კორუფციული სამართალდარღვევის თაობაზე, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს.[31] განმარტებითი ბარათის მიხედვით, საგამოძიებო კომისიის მიზანი და, შესაბამისად, გამოსაკვლევი თემა 2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების შეფასება და მათი გადაწყვეტილებების სამართლებრივ ჭრილში მოქცევა იყო.[32]

---

[28] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 36-ე მუხლი, 2025 წლის 16 აპრილის მდგომარეობით.

[29] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, 2025 წლის 1-ლი აპრილის მდგომარეობით.

[30] ფრაქცია „ქართული ოცნების“ წერილი N07-3/23 საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

[31] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[32] განმარტებითი ბარათი „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტის თაობაზე.

„ქართული ოცნების“ საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე კენჭისყრა გაიმართა 2025 წლის 5 თებერვალს და თვითგამოცხადებულმა პარლამენტმა 83 ხმით საკითხი დადებითად გადაწყვიტა. ამის შემდეგ, 2025 წლის 7 თებერვალს, პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, დადგინდა კომისიაში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები. ფორმალურად, კომისიის 10 წევრიდან 5 არის უმრავლესობიდან, 2-2 - „ხალხის ძალიდან“ და უფრაქციო დეპუტატებიდან (კონკრეტულად, პარტიიდან „გახარია საქართველოსთვის“, რომელმაც პარლამენტში შესვლაზე უარი განაცხადა), ხოლო 1 წევრი - „ევროპელი სოციალისტებიდან“.[33] გამომდინარე იქიდან, რომ პარტია „გახარია საქართველოსთვის“ ამ ეტაპზე პარლამენტში არ შესულა, მას კომისიაში წევრებიც არ დაუნიშნავს. რეალურად, კომისიის ყველა მოქმედი წევრი ერთ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს, რადგან ფრაქცია „ხალხის ძალისა“ და საპარლამენტო ჯგუფის „ევროპელი სოციალისტების“ წევრები „ქართული ოცნების“ პარტიული სიით შევიდნენ პარლამენტში.

შემადგენლობის დამტკიცებიდან 5 დღეში, 13 თებერვალს, გაიმართა კომისიის პირველი სხდომა, აირჩიეს კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და შეადგინეს დებულების პროექტი.[34]

საქართველოს პარლამენტის მოქმედმა საგამოძიებო კომისიამ 13 თებერვლიდან 19 მაისის ჩათვლით ჩაატარა 25 სხდომა და გამოიკითხა 77 პირი.[35] გარდა ამისა, კომისიამ ითანამშრომლა სხვადასხვა სახე-

---

[33] კომისიის წევრები არიან: ფრაქცია „ქართული ოცნება“ - თეა წულუკიანი (თავმჯდომარე), ალექსანდრე ტაბატაძე, თენგიზ შარმანაშვილი, ალუდა ღუდუშაური, პაატა სალია (შემდგომ ირაკლი ქადაგიშვილი); პოლიტიკური ჯგუფი „ხალხის ძალა“ - სოზარ სუბარი (მდივანი), გურამ მაჭარაშვილი; პოლიტიკური ჯგუფი „ევროპელი სოციალისტები“ - ილია ინჯია. იხ. საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელ საქართველოს პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიაში“ წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“.

[34] „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის“ მიერ წარმოდგენილი პირველი საორგანიზაციო სხდომის ოქმი N1.

[35] „2003–2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შუალედური ანგარიში (2025 წლის 13 თებერვალი - 2025 წლის 28 აპრილი)“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 28

ლმწიფო უწყებასთან, როგორებიცაა პარლამენტის ადმინისტრაცია და საქართველოს გენერალური პროკურატურა, ასევე, ფოტო-ვიდეო არქივის მოსაპოვებლად - ტელეკომპანიებთან „იმედი“, „რუსთავი 2“, „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“.[36]

1-ელ აპრილს პარლამენტმა კომისიას გამოძიების ფარგლები, 2012 წლის ნაცვლად, დღემდე, 2025 წლამდე გაუზარდა.[37] შესაბამისად, კომისია აღარ იყო შეზღუდული მხოლოდ 2003-2012 წლებში თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების განხილვით და იგი გამოიძიებდა დღემდე, ანუ 2012 წლის შემდგომ „პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობასაც“.[38] აღსანიშნავია, რომ 28 აპრილამდე ჩატარებული 17 სხდომიდან 16-ზე კომისიამ განიხილა 2003-2012 წლებში მაშინდელი სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ განხორციელებული ქმედებები, ხოლო ერთ სხდომაზე განიხილა ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას თანამდებობაზე ყოფნის დროს მომხდარი სხვადასხვა ფაქტი.[39]

აღსანიშნავია, რომ დაბარებული პირები, მათ შორის, ოპოზიციური პარტიების ლიდერები, მოთხოვნის მიუხედავად, კომისიის სხდომაზე არ გამოცხადდნენ და ახსნა-განმარტებები არ ჩააბარეს. ამის საპასუხოდ, კომისიამ გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა შესაბამისი პირების შესახებ ინფორმაცია გამოუცხადებლობის თაობაზე.[40] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არეგულირებს პარლამე-

---

აპრილი, ასევე იხ. პარლამენტის შესაბამისი სტატიები: https://www.parliament.ge/parliament/commissions/65528/deputies.

[36] იქვე.

[37] „პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ დადგენილებაში ცვლილება განხორციელდა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 1-ლი აპრილი, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/news/parlamentis-droebiti-sagamodziebo-komisiis-shesakheb-dadgenilebashi-tsvlileba-gankhortsielda?fbclid=IwY2xjawJ_6JZleHRuA2FlbQIxMABicmlkETFicjlIZFhUT05yUkU1VkZ2AR7Jv-Vh5z2AXaU_61zwGSGFLpWnxWwbR0ippb4KAQfgQ--HgCjDfe2hjxc3t3g_aem_6-3FfzsSoT-THIVng2V4PLg, განახლებულია: 01.05.2025.

[38] იქვე.

[39] „დროებითმა საგამოძიებო კომისიამ გიორგი გახარია გამოკითხა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 1-ლი აპრილი, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/news/droebitma-sagamodziebo-komisiam-giorgi-gakharia-gamokitkha, განახლებულია: 01.05.2025.

[40] სულ 8 პირი: ბადრი ჯაფარიძე, მამუკა ხაზარაძე, ირაკლი ოქრუაშვილი, ნიკა გვარამია, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, გიორგი ვაშაძე, ნიკანორ მელია, გიორგი (გივი) თარგამაძე.

ნტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნათა შეუსრულებ-ლობას და აწესებს შესაბამის სანქციას - ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ვადით, ასევე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას სამ წლამდე ვადით.[41]

ამ ეტაპზე საგამოძიებო კომისია აგრძელებს საქმიანობას და დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების გამოკვლევას.

[41] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 349-ე მუხლი.